ქრისტიანობის ისტორია (სამაგისტრო პროგრამა)

1. **ქრისტიანული ღვთისმსახურება და ქართული სასულიერო მწერლობა (IV-XVIII სს)**
Christian Services and Georgian Ecclesiastical Writing (4-18 Centuries)

კურსი დაეხმარება მაგისტრანტებს, შეისწავლონ ქართული სასულიერო მწერლობა ქრისტიანული ღვთისმსახურების ისტორიასთან კავშირში.

2. **ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი—შედარებითი კვლევის ანალიზი**
Christianity, Judaism, Islam - Basis of Comparative Researches

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან და გააანალიზებენ აბრაამისტული რელიგიების ისტორიულ–საღვთიმეტყველო საკითხებს. კურსის მიზანია მაგისტრანტს გაუღრმაოს ცოდნა რელიგიური ტექსტების ანალიზის მეშვეობით.

3. **კათოლიციზმი საქართველოში (XIII-XIX ს–ის I ნახევარში)**
History of Catholicism in Georgia from the 13th century to the first half of 19 century)

სალექციო კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტებს ეცოდინებათ კათოლიკობის არსი და მისი განვითარების ეტაპები მსოფლიოს კულტურულ-ისტორიულ პროცესებთან კავშირში.
გაიაზრებენ კათოლიციზმის წვლილს საქართველოსთან მიმართებით, ქართულ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის კულტურული ურთიერთმიმართების საკითხებს.

4. **საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში**

History of Church Globalization in Caucasus

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საეკლესიო გლობალიზაციის საკითხებს; ერთიან კავკასიაში რელიგიის ადგილსა და დანიშნულებას; საეკლესიო ერთობის ირგვლივ არსებულ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო თეორიებსა და კონცეფციებს.

5. **ქრისტიანობის მეთოდოლოგია და საეკლესიო ისტორიოგრაფია**

Methodology of Christianity and Ecclesiastic Historiography

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ეკლესიის ისტორიის კვლევისა და სწავლების მეთოდებს; საეკლესიო ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციას, მასთან შესაბამისობაში ჩამოყალიბებულ ისტორიოგრაფიულ სკოლებს; ამ სკოლათა წამყვანი სპეციალისტების კვლევის ორიენტირებს; გაერკვევა ფალსიფიცირებული და ობიექტური ნაშრომების ხასიათში; ობიექტურად შეაფასებს ისტორიოგრაფიულ თხზულებებში გამოკვლეული ფაქტებსა და მოვლენებს და მისცეს მათ ობიექტურ ინტერპრეტაციას.

6. ქრისტიანობის ისტორია I

History of Christianity - 1

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, მიიღონ ცოდნა ახალი მსოფლმხდველობის _ ქრისტიანობის _ წარმოშობისა და განვითარების ევოლუციურ ეტაპებზე; ქრისტიანობის წვლილზე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებში. მაგისტრანტი კურსის გავლის შემდეგ შეძლებს მიღებულ ისტორიულ ცოდნაზე დაყრდნობით შეაფასოს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენები

7. ქრისტიანობის ისტორია II

History of Christianity - 2

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, მიიღონ ცოდნა ქრისტიანობის განვითარების ევოლუციურ ეტაპებზე „დიდი სქიზმის“ შემდგომ; დასავლური ქრისტიანობის წვლილზე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებში.

8. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და გარე სამყარო I

Georgian Orthodox Apostolic Church and External World - 1

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიასა და ევოლუციურ ეტაპებს; საქართველოს ეკლესიის ისტორიას გაიაზრებენ მსოფლიო ეკლესიებისა და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოში; საქართველოს ეკლესიის ისტორიას შეისწავლიან საქართველოს ისტორიულ მოვლენებთან და სხვა დისციპლინებთან კონტექსტში.

9. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და გარე სამყარო II

Georgian Orthodox Apostolic Church and External World – 2

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიასა და ევოლუციურ ეტაპებს; საქართველოს ეკლესიის ისტორიას გაიაზრებენ მსოფლიო ეკლესიებისა და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოში; შეისწავლიან, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიისა და რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობის ევოლუციურ გზას XIX-XX საუკუნეებში, საქართველოს საეგზარქოსოს ადგილსა და დანიშნულებას რუსულ სახელმწიფოში.

10. ძველი და ახალი აღთქმა

The New and the Old Testaments

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, მიიღონ ცოდნა ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების წმინდა მამებისეულ განმარტებათა შესწავლის საქმეში, გაიაზრონ ბიბლიის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მისი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

11. მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება
World Ecclesiastical Gatherings and Dogmatic Theology

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაიაზრებენ მსოფლიო საეკლესიო კრებების როლს ქრისტიანობის ისტორიაში, მსოფლიოს ქრისტიანულ ცივილიზაციაში. შეისწავლიან დოგმატის არსსა და მნიშვნელობას.

12. რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქაართველოში

Reliques and Icons in Middle Centuries of Georgia

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან შუა საუკუნეების ქართული მხატვრული ტრადიციის განვითარების ისტორიასა და თავისებურებებს. სწავლების პროცესი წარიმართება წყაროებსა და ლიტერატურაზე მუშაობის, აგრეთვე საკუთრივ ძეგლთა გაცნობის საფუძველზე.

13. გვიან ანტიკური და ადრე ქრისტიანული ეთიკური თეორიები

Late Antique and Early Christian Ethical Theories

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან გვიან ანტიკური და ადრე ქრისტიანული ეთიკის ძირითად კონცეპტთა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. აქცენტი გადატანილი იქნება ანტიკური ფილოსოფიიდან ადრე ქრისტიანულ თეოლოგიაში გადასვლის გზებზე.

14. **ქრისტიანობა და მეცნიერება**

Christianity and Science

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, მიიღონ ცოდნა ქრისტიანობისა და მეცნიერების კომპარატივისტული ანალიზის საკითხში.

15. **საეკლესიო დიპლომატია და მართლმადიდებლური სიწმინდეები**

Ecclesiastical diplomacy and Orthodox Shrines

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ზოგადად საეკლესიო დიპლომატიასა და, კონკრეტულად, მართლმადიდებლური აღმსარებლობის მატარებელ სახელმწიფოთა საეკლესიო დიპლომატიის მახასიათებლებს; მაგისტრანტები შეისწავლიან საეკლესიო დიპლომატიის წყაროებსა და ისტორიოგრაფიას, შეძლებენ მათ მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანას.

16. **ეკუმენიზმი და მოდერნიზაცია ეკლესიაში**

Ecumenism and Modernization in Church

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტებს ეცოდინებათ სამყაროს გლობალიზაციის პრობლემის კავშირი საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესებთან. გაიაზრებს მსოფლიო რელიგიის შექმნა-დამკვიდრების პროპაგანდის მნიშვნელობასა და მისი შედეგებს. აითვისებს ეკუმენური საბჭოს მიზანს, ეკუმენური მოძრაობის და ამ პროცესში ყველა ქრისტიანული კონფესიის ჩართვის მნიშვნელობას.

17. **აფხაზეთის ეკლესია XIX-XX საუკუნეებში**

History of Abkhazian Church in 19-20 Centuries

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან აფხაზეთის ეკლესიის ობიექტურ ისტორიას; მის ისტორიულ განუყოფელობას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან. შეისწავლის აფხაზეთის ეკლესიის ახალი და უახლესი ისტორიის წყაროებს, ისტორიოგრაფიას, თანამედროვეობის საეკლესიო საზღვრებს.
მაგისტრანტები გაეცნობიან აფხაზეთის ეკლესიის სამეცნიერო სკოლების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და მათ მეცნიერულ შეფასებებს.

18. **ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები**

Moral Basis of Christianity

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ქრისტიანული ღვთისმეტყველების საფუძვლებს წმინდა წერილზე დაყრდნობით.

19. ქრისტიანული სახისმეტყველება
Christian Mimicry

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ხელოვნების ბაზისურ კატეგორიაზე – "სახეზე" _ დაყრდნობით ნაწარმოებთა ესთეტიკური ბუნების დადგენას.
სახისმეტყველება კომპარატივისტული მეთოდების მოხმობით გულისხმობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების ინტერდისციპლინარულ და ინტერტექსტუალურ შესწავლას.
სახისმეტყველებისათვის აუცილებელია თანამედროვე დასავლეთ-ევროპული ლიტერატურულ-ესთეტიკური მეთოდებისა და ცნებათმეტყველების გამოყენებით ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ხელოვნების ჯეროვანი შესწავლა აღნიშნული საკითხების მიხედვით და სტუდენტებში თეორიული გააზრების უნართა გაღრმავება.

20. რუსული ენა 2 (B 1)
Russian Language 2 (B 1)

რუსულის, როგორც უცხო ენის, საბაზო დონე საშუალებას იძლევა მოიცვას კომუნიკაციის ყველა აუცილებელი სფერო. მასში შესულია ლექსიკური თემები, რომლებიც უზრუნველყოფს ურთიერთობას სახელმწიფო სტრუქტურებთან, მომსახურების (მაღაზია, ბანკი, საპარიკმახერო, პოლიკლინიკა და ა.შ) და სოციალურ–ყოფითი (კინო, თეატრი, მეგობრებთან ურთიერთობა) სფეროს ფარგლებში. ამ დონისათვის განკუთვნილი ლექსიკური მარაგი დაახლოებით 1800 სიტყვას მოიცავს. გრამატიკის დონეზე გაგრძელდება სახელთა ბრუნვის სისტემის (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელის პარალელური ბრუნება).

21. ბიბლია და ქართული კულტურა
The Bible and Georgian Culture

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტები გააცნობიერებენ ახალ ეპოქაში იმ სასულიერო ღირებულებების აქტუალობას, რომელთა ფესვები საუკუნეების მიღმა მიდის; გაიაზრებენ, თუ რითაა გამოწვეული, რომ არა მხოლოდ შუა საუკუნეების, არამედ ახალი დროის ქართულ კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას კვლავაც შესამჩნევად აკვალიანებს ის მსოფლგაგება, რაც ბიბლიის ფურცლებზე უკვე წვდომილია.

22. ისლამური ფუნდამენტალიზმი
Islamic Fundamentalism

კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, შეისწავლონ თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში მიმდინარე რელიგიური პროცესები, ფუნდამენტალიზმის ისტორია და განვითარების თავისებურებები. განსაზღვრულია პოლიტიკაზე ისლამის ზეგავლენის ძირითადი ასპექტების შესწავლა და ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგების შეხედულებების ანალიზი,

ისლამისტებისა და ისლამისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა თანამედროვე მუსლიმურ ქვეყნებში; ისლამური ექსტრემიზმის ძირითადი მიზეზების გაანალიზება.